აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

დეკემბერი, 2022

თემატიკა:

- 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცება
- კომიტეტის სხდომა
- ბიუროს სხდომა
- ახალგაზრდები უმაღლეს საბჭოში
- პეტიცია
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

535 549 400 მლნ ლარით განისაზღვრა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი

პლენარული სხდომა
15 დეკემბერი, 2022 წელი

535 549 400 მლნ ლარი - აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი დამტკიცებულია, გადაწყვეტილება აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე მიიღეს.

სამინისტროების მიხედვით, ფინანსები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 133 483 600
- ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - 33 235 000
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 29 531 000
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 105 446 800

მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი გადასცდა ნახევარმილიარდიან ნიშნულს, საიდანაც დაახლოებით 65% კაპიტალურ პროექტებს მოხმარდება, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილი თანხების ზრდა - 173 მილიონ ლარამდე, იზრდება განათლების სფეროს დაფინანსება, იმატებს ჯანდაცვის პროგრამების, ტურიზმის პროექტების დაფინანსება, ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ბიუჯეტი, - განაცხადა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ.

კენჭისყრის შედეგად, აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 14 ხმით ერთის წინააღმდეგ - დამტკიცებულია.

კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“

I მოსმენით მიღებულია

პლენარული სხდომა
15 დეკემბერი, 2022 წელი

კანონპროექტის მიღების მიზანია, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება, გამარტივება, სრულყოფა და პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
კანონპროექტი I მოსმენით, 15 ხმით - მიღებულია.

სხდომას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ, რომლებმაც შესაბამისი განაცხადი ონლაინპლატფორმა - chaerte.sca.ge-ს საშუალებით გააკეთეს.

უმაღლესი საბჭოს საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა.

პლენარულ სხდომაზე განიხილეს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებები, რომლის მიღება ღია მმართველობის საბჭოს სამოქმედო გეგმით აღებულმა ვალდებულებებმა განაპირობა და საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერებას, უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

რეგლამენტის პროექტი, გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით, 14 ხმით - მიღებულია.

უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტების გენდერულ საბჭოებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

2 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტების გენდერულ საბჭოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანი - გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა, შესაბამისი პლატფორმის შექმნა, ხელმომწერი მხარეების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა, მხარდაჭერა და გენდერული თანასწორობის სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების თავმჯდომარეები, ამავე საბჭოების, არასამთავრობო სექტორის, ახალგაზრდობისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მემორანდუმს უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების თავმჯდომარეებმა მოაწერეს ხელი.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

7 დეკემბერი, 2022 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება განიხილეს.

კანონის პროექტი კომიტეტის წევრებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ადმინისტრაციის უფროსმა - თინათინ ზოიძემ წარუდგინა.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

9 დეკემბერი, 2022 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი განიხილეს. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

ბიუროს სხდომა

9 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ კანონის პროექტი (I მოსმენა) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

ბიურომ მხარი დაუჭირა კანონის პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

სხდომაზე განიხილეს და მხარი დაუჭირეს უმაღლესი საბჭოს 2022 წლის ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებას.

შესაბამისი მოხსენება აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ წარმოადგინა.

უმაღლესი საბჭოს წევრებმა რეგიონის მეგზევეებს პროფესიული დღე მიულოცეს

10 დეკემბერი, 2022

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, რეგიონის მეგზევეებს პროფესიული დღე მიულოცა და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმატებულ თანამშრომლებს, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სიგელები გადასცა.

დაჯილდოებამდე, აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელის ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტის წევრებმა, აჭარის საავტომობილო გზების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში და მომავალი წლის პრიორიტეტები ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან - მამუკა თურმანიძისაგან მოისმინეს.

"წლის წარმატებული ხელოვანი" - დაჯილდოება

10 დეკემბერი, 2022

წელს პირველად, აჭარის განთლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სხვადასხვა ნომინაციაში კონკურსით შერჩეული 20 წარმატებული ხელოვანი აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა - დავით გაბაიძემ და თორნიკე რიჟვაძემ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა - მაია ხაჯიშვილმა, სამინისტროს წარმომადგენლებმა და ქალაქ ბათუმის მერმა - არჩილ ჩიქოვანმა დააჯილდოვეს.

აჭარის უმაღლეს საბჭოში, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ტრენინგი ჩატარდა

13 დეკემბერი, 2022 წელი

„გაუმჯობესებული პირობები უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოსთვის“ - აჭარის უმაღლეს საბჭოში, საკანონმდებლო ორგანოსა და ბათუმის მერიის თანამშრომლებისთვის, ტრენინგი ჩატარდა.

სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების პირობებთან დაკავშირებული დებულებების გაცნობის შემდეგ, გაიმართა სამუშაო ადგილების უსაფრთხოების საფუძვლების, დებულებების პრეზენტაციები და სხვა აქტივობები.

ტრენინგს შრომის უსაფრთხოების გერმანელი სპეციალისტი - ლორენც ჰუბერი უძღვებოდა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა

13 დეკემბერი, 2022 წელი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით, თემატური მოკვლევის შედეგად მომზადებული რეკომენდაციები განიხილეს.

კომიტეტმა თემატური მოკვლევა აღნიშნულ საკითხზე 2022 წლის მაისიდან დაიწყო. ზეპირი მოსმენები, კომიტეტის გასვლითი სხდომები გაიმართა ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან, რეგიონის საჯარო სკოლებში დაიგზავნა სპეციალური კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც შეგროვდა და გაანალიზდა გამოთხოვილი ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარის - დავით ბაციკაძის განცხადებით, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნება.

ბიუროს სხდომა

14 დეკემბერი, 2022 წელი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტს უმაღლესი საბჭო მიმდინარე წლის 15 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე განიხილავს.

გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

მომხსენებლის - მარინა გვიანიძის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტის საკომიტეტო განხილვების შემდეგ, მთავრობისათვის გადაგზავნილი შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულია და საკითხი მზადაა პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

ბიურომ მხარი დაუჭირა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელებას საგაზაფხულო სესიის პერიოდისათვის. საკითხი ბიუროს წევრებს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარუდგინა.

ბიუროს წევრებმა განიხილეს და განსაზღვრეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 15 დეკემბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

14 დეკემბერი, 2022 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საქართველოს პარლამენტიდან შემოსული საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს ორგანულ კანონში - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ ინცირებული კანონის პროექტის მიხედვით ორგანული კანონის -„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლს ემატება 21 პუნქტი, რომლითაც მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს/ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

კომიტეტმა საკითხი ცნობად მიიღო.

ახალგაზრდები უმაღლეს საბჭოში

1 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ეწვივნენ. მათთან ერთად საკანონმდებლო ორგანოში ექსკურსიაზე უკრაინელი ახალგაზრდები იმყოფებოდნენ.

16 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოს, მორიგი ექსკურსიით, ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინელი მოსწავლეები სტუმრობდნენ. ახალგაზრდებს, საკანონმდებლო ორაგნოს ფუნქციები, საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილებები, კანონშემოქმედებითი პროცესი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ გააცნო.

16 დეკემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტების ექსკურსია საკანონმდებლო ორგანოში

20 დეკემბერი, 2022 წელი

თხილნარის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების ექსკურსია აჭარის უმაღლეს საბჭოში

აჭარაში წარჩინებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ

16 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარაში სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 39 წარმატებული სტუდენტი დაჯილდოვდა.

სტუდენტებს სიგელები და ფულადი ჯილდო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არუშიძემ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძემ, და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძესთან ერთად გადასცეს.

2021-2022 წლებში სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში 2400 სტუდენტი დაფინანსდა, ხოლო სულ აღნიშნული პროგრამით 2012-2022 წლებში 10 000- მდე სტუდენტმა ისარგებლა.

დავით გაბაიძე „ისრაელის სახლის“ მიერ ორგანიზებულ ბიზნესფორუმს დაესწრო

18 დეკემბერი, 2022 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბიზნესფორუმის მონაწილეებს, აჭარის შესახებ ვიდეორგოლი წარუდგინა და ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა რეგიონში განხორციელებული მასშტაბური პროექტების, ბიზნესგარემოს ხელმისაწვდომობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

დავით გაბაიძე:
„აჭარის რეგიონი, თავისი, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიით, მულტიკულტურული საზოგადოებით, ტრადიციებით და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული მხარეა საქართველოში, რომელიც ბოლო წლებში, ქვეყნის მთავარ სავიზიტო ბარათად იქცა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში“.

ბიზნესფორუმი მუსიკალური პროგარმით გაიხსნა და ებრაული დღესასწაულის „ხანუქის“ სანთლის ანთების ცერემონიალით დასრულდა.

პეტიცია

"პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ"

ავტორი - ინგა გეგეშიძე
რეგისტრაციის თარიღი:
26 დეკემბერი, 2022
გამოქვეყნების თარიღი:
28 დეკემბერი, 2022





პეტიციის არსი:

უხარისხო, ან დაბალი ხარისხის ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებასთან ერთად პიროტექნიკის მომხმარებლების მიერ არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები.
პიროტექნიკის გამოყენება ხდება აივნებზე, ქუჩებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში, ამის გამო განსაკუთრებით დიდი ზიანი ადგება მათ გარშემომყოფი ადამიანების უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას;
ზიანი ადგება გარემოს და ეკოლოგიას, რადგან არაპროფესიონალების მიერ პიროტექნიკის გამოყენების შედეგად ჰაერში იფრქვევა მავნე და ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც აბინძურებენ ჰაერს.
მაღალი რისკის ქვეშ არიან ჩვილები და მოხუცები, მოულოდნელი „აფეთქების“ ხმამ შეიძლება გამოიწვიოს ხერიოზული გართულებები ჯანმრთელობის კუთხით.
ასევე დიდი საფრთხის ქვეშ არიან ცხოველები ხშირ შემთხვევაში ეს ლატალური გამოსავალით სრულდება.
აქედან გამომდინარე, პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესება ხელს შეუწყობს უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნას.

პეტიციის შექმნა, გაცნობა და მხარდაჭერა, შეგიძლიათ უმაღლესი საბჭოს ვებპლატფორმაზე - **chaerte.sca.ge**

დაასკანერე და გაეცანი

სპორტის სფეროს წარმომადგენლების დაჯილდოება - 2022

26 დეკემბერი, 2022 წელი

2022 წლის განმავლობაში სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები, პარა-სპორტსმენები, მწვრთნელები, ვეტერანი სპორტსმენები, წლის სპორტული მენეჯერი და სპორტული ჟურნალისტები.

უმაღლეს საბჭოში, ქალთა მეწარმეობის წამახალისებელი გამოფენა გაიხსნა

27 დეკემბერი, 2022 წელი

უმაღლეს საბჭოში, ქალთა მეწარმეობის წამახალისებელი გამოფენა გაიხსნა. ღონისძიებაზე, აჭარის მუნიციპალიტეტებიდან, 20-ზე მეტი მეწარმე ქალის მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ექსპოზიციაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო - ხელნაკეთი ნივთები და სასურსათო ნაწარმი.

დავით გაბაიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის მუშაობის ანგარიშის წარდგენას დაესწრო

27 დეკემბერი, 2022 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2022 წლის ანგარიში წარადგინა.

ანგარიშის წარდგენას აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"მაგნოლია-2022"- ბათუმში საუკეთესო ტურუსტული სერვისის მიმწოდებლები დაჯილდოვდნენ

29 დეკემბერი, 2022 წელი

თვის სხვა აქტივობები, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ:

- **1** დეკემბერი შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეა - 01.12.2022
- ჩაქვში რაგბის მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს - 01.12.2022
- უმაღლეს საბჭოში „სანკო ჰოლდინგის“ წარმომადგენლებს უმასპინძლეს - 01.12.2022
- შშმ პირთა საერთაშორისო დღე - 02.12.2022
- მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძე გოროდოკი-ახალშენი-ზედა წინსვლის 3,1- კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. - 09.12.2022
- აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე სპორტული ფედერაციებისა და სპორტული კლუბების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრას დაესწრო - 09.12.2022
- 10 დეკემბერი ადამიანის უფლებების დაცვის დღეა - 10.12.2022
- კონფერენციას - „შშმ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“ – რომელიც ბათუმში გაიმართა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე - 10.12.2022
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში, ბიზნესის და მართვის სკოლის ორგანიზებით, დასაქმების ფორუმი გაიმართა - 12.12.2022
- „ოცნების ქალაქის“ პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე გაეცნო - 14.12.2022
- „იყავი მეწარმე“ - პროგრამაში მონაწილე წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება - 14.12.2022
- 17 დეკემბერს მართლმადიდებლური ეკლესია ბარბარობას აღნიშნავს - 17.12.2022
- წლის საუკეთესო სპორტსმენები დააჯილდოეს - 20.12.2022
- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დეპარტამენტების თანამშრომლები დააჯილდოვა - 23.12.2022
- მედიკოსების დაჯილდოება 2022 გაიმართა - 23.12.2022
- დავით გაბაიძე საკონტიტუციო სასამართლოში წინასაახალწლო მიღებას დაესწრო - 24.12.2022
- ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 25 წლისაა - 26.12.2022
- აჭარის მუნიციპალიტეტებში გრძელდება უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების შეხვედრები ამომრჩეველთან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

დეკემბერი, 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge